სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2025 წლის ანგარიში

დაწესებულების სახელწოდება	*სსიპ კოლეჯი „მოდუსი“*
ხარისხის სამსახურის ჯგუფის შემადგენლობა	*ხარისხის მართვის მენეჯერი: ქეთევან გურგენიშვილი* *ხარისხის მართვის სპეციალისტი: მადონა გოგობერიშვილი*

ინფორმაცია დაწესებულებაში განსახორციელებელი ყველა მოდულური პროგრამების განხორციელების შესახებ

კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამები				
N	*პროგრამის სახელწოდება*	*დონე*	*ფორმა*	*ჯგუფების რაოდენობა*
რუსთავი				
1.	*ელექტროობა*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
2.	*თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
3.	*სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია*	*მესამე*	*კოოპერციული*	*1*
4.	*შედუღება*	*მეოთხე*	*იმიტირებული*	*1*
5.	*მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება*	*მესამე*	*იმიტირებული*	*1*
6.	*მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება*	*მესამე*	*იმიტირებული*	*1*
7.	*ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა*	*მესამე*	*იმიტირებული*	*1*

8.	*მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
9.	*ვებტექნოლოგიები*	*მეოთხე*	*იმიტირებული (ინტეგრირებული)*	*1*
10.	*Front-end დეველოპერი*	*მეოთხე*	*იმიტირებული*	*1*
11.	*მოდის ტექნოლოგია და დიზაინი*	*მეოთხე*	*კოოპერაციული*	*1*
12.	*სამკერვალო წარმოება*	*მესამე*	*კოოპერაციული*	*1*
13.	*ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
14.	*კომპიუტერული ქსელი და სისტემები*	*მეოთხე*	*იმიტირებული (ინტეგრირებული)*	*1*
15.	*კომპიუტერული ქსელი და სისტემები*	*მეოთხე*	*იმიტირებული*	*1*
16.	*მეგაღეობა*	*მეოთხე*	*კოოპერაციული*	*2*
17.	*აღმზრდელი*	*მეხუთე*	*კოოპერციული*	*2*
18.	*ბუღალტრული აღრიცხვა*	*მეხუთე*	*იმიტირებული*	*2*
19.	*კულინარიის ხელოვნება*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
20.	*თმის მომსახურება*	*მესამე*	*კოოპერაციული*	*2*
მარნეული				

სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2025 წლის ანგარიში

1.	*ელექტროობა*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
2.	*ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა*	*მესამე*	*იმიტირებული*	*2*
3.	*მებოსტნეობა*	*მესამე*	*კოოპერაციული*	*1*
4.	*მეხილეობა (იტეგრირებული)*	*მეოთხე*	*კოოპერციული (ინტეგრირებული)*	*1*
5.	*მოდის ტექნოლოგია და დიზაინი*	*მეოთხე*	*კოოპერაციული*	*1*
6.	*აღმზრდელი*	*მეხუთე*	*კოოპერაციული*	*2*
7.	*სამკერვალო წარმოება*	*მესამე*	*კოოპერაციული*	*1*
8.	*ბუღალტრული აღრიცხვა*	*მეხუთე*	*იმიტირებული*	*2*
მომზადება / გადამზადების პროგრამები				
1.	*ქართული და უცხოური კერძების მომზადება*	*მესამე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*2*
2.	*სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*3*
3.	*ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*1*
4.	*ელექტრომემონტაჟე*	*მესამე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*2*
5.	*ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*1*
6.	*ჰიდროელექტროსადგურის*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*1*

7.	*მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*1*
8.	*მაღალტემპერატურული ტექნოლოგიების ოპერატორი*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*1*
9.	*სპეციალურ ი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა*	*მეოთხე*	*სახელმწიფო პროგრამა*	*2*

ჩატარებული ანალიზის ძირითადი თემები	*მტკიცებულებები:*
1. ადმინისტრაციის გამოკითხვა - ანალიზი	
გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯი მოდუსის ადმინისტრაციის 16 თანამშრომელმა • გამოკითხული ადმინისტრაციის წევრების 93.8% იცნობს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს ხოლო 18.8% თავად იყო ჩართული კოლეჯის მისიის შემუშავების პროცესში; • 25% ჩართულია კოლეჯის წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში, 37.5% ნაწილობრივ იღებს მონაწილეობას სამოქმედო გეგმის შემუშავება/შეფასების პროცესში, ხოლო 37.6% არ იყო ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში (კოლეჯში დასაქმებული ახალი თანამშრომლები); • გამოკითხული თანამშრომლების 85.5% სისტემატიურად ეცნობა კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, 12.5% ნაწილობრივ; • 70%% იცნობს კოლეჯში მოქმედ რეგულაციებს და საკანონმდებლო აქტებს, 81.3% სისტემატურად ეცნობა კომპეტენციის ფარგლებში, პროფესიული განათლების სისტემაში მოქმედ საკანონმდებლო მარეგულირებელ დოკუმენტებს; • გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის 87.5% ეთანხმება დებულებას, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გონივრულ ვადებში ისახება კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში. 12.5% ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას; • 81.3% ჩართული იყო მათი ფუნქცია-მოვალეობების შემუშავების პროცესში და ეთანხმება დებულებას, რომ სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება მათ რეალურ საქმიანობას კოლეჯში (90%); • გამოკითხვაში მონაწილე ადმინისტრაციული პერსონალის 87.5% თვლის, რომ კოლეჯი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელმძღვანელობის მხრიდან მყისიერად ხდება რეაგირება მათ ახალ ინიციატივებზე (81.3%). • ადმინისტრაციის 56.3% თვლის, რომ კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები კოორდინირებულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, 37.5% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას ხოლო 6.3% აზრით, კოლეჯში არის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა.	*ადმინისტრაციის წევრების შევსებული კითხვარები.*

• გამოკითხული ადმინისტრაციული პერსონალის 100% თვლის, რომ მათი სამუშაო სიცრცე აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ტექნიკით და მასალებით და მათ მიერ მოთხოვნილი საჭირო სახარჯი მასალების მიწოდება ხდება დროულად, რაც არ აფერხებს მათ სამუშაო პროცესს. • გამოკითულთა 100% იცნობს კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს; • გამოკითხულთა 87.5% მიიჩნევს, რომ წლის განმავლობაში დროულად ახდენენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშგებას, 12.5% ნაწილობივ ეთანხმება აღნიშნულ დებულებას; • გამოკითხული ადმინისტრაციული პერსონალის 93.8% ეთანხმება დებულებას, რომ ასრულებს ყველა იმ ფუნქცია-მოვალეობას, რაც მათი პოზიციის შესაბამისად არის გაწერილი (6.3% ნაწილობრივ ეთანხმება); • გამოკითხული თანამშრომლების 31.3% მიიჩნებს, რომ სამუშაო აღწერილობის გარდა ასრულებს დამატებით სამუშაოებს კოლეჯში, 56.3% მიიჩნევს, რომ დამატებით უწევს სხვა სამუშაოების შესრულება, ხოლო 12.5%-ის აზრით, სამუშაო აღწერილობის გარდა არ ასრულებენ დამატებით სამუშაოებს. **რეკომენდაციები:** • სასურველია პროგრამის ხელმძღვანელების გააქტიურება და მოტივაციის გაზრდა, რათა პროგრამების მართვა და ანგარრიშგება იყოს უფრო ოპერატიული და გამართული; • სასურველია „განვითარებისა და ინოვაციების ჰაბი“ – სივრცის შექმნა, სადაც თანამშრომლებს ექნებათ შესაძლებლობა და გარკვეული ვალდებულებაც, პერიოდულად გააზიარონ ახალი იდეები, განახორციელონ მცირე ინოვაციური პროექტები და კოლეჯის პროცესებში მუდმივად დანერგონ სიახლეები. ეს ხელს შეუწყობს სისტემური განვითარების დინამიკას, თანამშრომლების მეტ ჩართულობას და თანამედროვე სტანდარტებთან დამთხვევას;	
2. მასწავლებლის კითხვარის ანალიზი	
გამოკითხული მასწავლებლების ზოგადი შეფასება - 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელა 60% და შეივსო 50 კითხვარი, ორი საკვლევი ინსტრუმენტის - კითხვარის გამოყენებით: „კითხვარი მასწავლებლისათვის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის გაუმჯობესების მიზნით“ და „კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასება და საჭიროებათა კვლევა“. მასწავლებლები გამოიკითხა შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: აღმზრდელი, ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა, თმის მომსახურება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, მოდის ტექნოლოგია და დიზაინი, მებაღეობა,	*მასწავლებელთა შევსებული კითხვარები*

მებოსტნეობა, მეხილეობა, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება, Front-end დეველოპმენტი; **მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:** • გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების 100% სისტემატურად ეცნობა კოლეჯის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებით; www.modusi.ge ან https://www.facebook.com/modusi.ge, იცნობს და იზიარებს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (100%), იცნობს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების (92.9%) და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმას (78.6%) • კვლევაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლების 89.3% დაადასტურა, რომ აქვთ მოდულის ან/და ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავებაში და/ან გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობა მიღებული აქვს გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 50%-ს, 17.9%-ს ნაწილობრივ, ხოლო 32.1% არ მონაწილეობდა პროგრამის/მოდულის შემუშავების ან/და მის გაუმჯობესების პროცესში. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 50%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, 21.4%-ს ნაწილობრივ, 28.6%-ს მონაწილეობა არ აქვს მიღებული პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. • პროფესიული განათლების მასწავლებლების 92.9%-ს შემუშავებული აქვს მათი მოდულის კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტი (96.4%); • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 50% დააფიქსირა, რომ მათ დასჭირვებიათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; • 67.9% მონაწილეობა აქვს მიღებული სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის სასწავლო მოდულის ადაპტირების პროცესში. 7.1%-ს ნაწილობრივ, ხოლო 25%-ს არ დასჭირვებია მოდულის ადაპტაცია. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 82.3% ჩართული იყო შუალედური შეფასების პროცესში, კერძოდ ისინი ჩართულები იყვნენ შუალედური შეფასების ინსტრუმენტის შექმნისა და პროგრამის შუალედური შეფასების პროცესში. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 82.1%-ს ჩართული იყო ვალიდაციის პროცესში, ხოლო 17.9%-ს არ აქვს მიღებული მონაწილეობა ვალიდაციის პროცესში. • პროფესიული განათლების მასწავლებლების 92.9% მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტებში პროგრამის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გამომუშავებას, 7.1% თვლის რომ ნაწილობრივ. • პროფესიული განათლების მასწავლებლების 100% თვლის, რომ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა	

და ობიექტურობას, ასევე უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ინტერაქციული სწავლების მეთოდების გამოყენებას. თვლიან, რომ საგაკვეთილო პროცესში პროფესიულ სტუდენტებს აძლევენ შესაძლებლობას დასვან კითხვები და მიიღონ შესაბამისი პასუხები, ჯგუფში გააზიარონ საკუთარი მოსაზრებები და ცოდნა, გამოხატონ თავიანთი იდეები და კრიტიკული მოსაზრებები. • გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების 92.9% მიიჩნევს, რომ შესაბამის პასუხისმგებელ პირს, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს და უწყისებს აწვდის დროულად, ხოლო 7.1% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 92.9% კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად წერილობითი ფორმით ითხოვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა-ნედლეულს; • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 100% მიიჩნევს, რომ მათ მიერ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესი ინტერაქტიულია და უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას, ქმნიან გარემოს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ დასვან კითხვები, მიიღონ შესაბამისი პასუხები, ერთმანეთთან გააზიარონ ცოდნა და მოსაზრებები. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 89.3% უზრუნველყოფენ სწავლების პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში ატარებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს. • პროფესიული განათლების მასწავლებლების 96.4% ოპერატიულად აწვდის მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების შესახებ ინფორმაციის ადმინისტარციის პასუხისმგებელ პირებს. • პროფესიული განათლების მასწავლებლების 92.9% დაინტერესებულია საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებით და მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სწავლებებში. • გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 100% იცავს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებს. **გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლებს, შემოთავაზებული ჰქონდათ სხვადასხვა ინიციატივები / სარეკომენდაციო წინადადებები, მათი მოსაზრებით სასურველია:** **პროფესიული განათლების მასწავლებლები ადასტურებენ, რომ** • სრულად იცნობენ მოდულურ პროგრამას;	

• მათთვის მოდულის სტრუქტურა და მოდულის შინაარსი გასაგებია; • სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები; • კალენდარული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოდულის დამხმარე ჩანაწერები; • რეკომენდებული თემატიკა შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს; • მოდულის საათების ჯამური რაოდენობა ადეკვატურია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად; • მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით და ინვენტარით; • მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით; • მოდულები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები). **მასწავლებლების მხრიდან შედარებით ნაკლები აქტივობა დაფიქსირდა:** • სასწავლო გეგმების შემუშავებაში; • მოდულების ადაფტირებაში; **გამოკითხული მასწავლებლებისთვის:** • მისაღებია მოდულის სტრუქტურა; • გასაგებია მოდულის შინაარსი; • არ საჭიროებს მოდულის ნაწილების დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას; • უმეტესად სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები; **მიგნებები:** ✓ კოოპერაციული სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, პედაგოგები საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით სისტემაში შემოსული ახალი პედაგოგები; ✓ ასევე, კითხვარების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების 40% არ აქვთ მიღებული მონაწილეობა პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში; ✓ გამოკითხული მასწავლებლების 90% მიიჩნევს, რომ მათი მოდული უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით/ინვენტარით და საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები); ✓ ასევე გამოითქვა მოკლევადიანი პროგრამების შემუშავების მიზნით დამატებით ტრენინგებში	

მონაწილეობის სურვილი; ✓ სასწავლო პლატფორმების უკეთ გამოყენების მიზნით, აიტი მიმართულების სპეციალისტებისგან კონსულტაციები. ✓ უკლებლივ ყველა მოდულის პედაგოგი მზადაა მიიღოს სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია .	
3. სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი (სტუდენტების ინფორმირებულობა)	
• გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 76.2% არის კოლეჯი მოდუსი რუსთავის პროფესიული სტუდენტი, ხოლო 23.8%-კოლეჯი მოდუსი მარნეულის პროფესიული სტუდენტი, შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: თმის მომსახურება, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, აღმზრდელი, ბუღალტრული აღრიცხვა, ვებტექნოლოგიები, მებოსტნეობა, მეხილეობა, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 54.8% კოლეჯის ვებ-გვერდს ეცნობა სისტემატურად, 45.2% ნაწილობრივ; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 52.4% სისტემურად ეცნობა კოლეჯის აქტივობებს სოციალურ ქსელებში https://www.facebook.com/modusi.ge და ტიკ-ტოკზე. 33.3% ნაწილობრივ, ხოლო 14.3% კოლეჯის სოციალური ქსელებიდან არ ეცნობა სიახლეებს; • პროფესიული სტუდენტის 66.7% იცნობს მის უფლება-მოვალეობებს, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (www.modusi.ge) 33.3% ნაწილობრივ; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 73.8% იზიარებს კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებას. 16.7% ნაწილობრივ, ხოლო 9.5% არ იზიარებს. • გამოითხული პროფესიული სტუდენტების 88.1% ადასტურებს, რომ კოლეჯს მათთან/მათ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს სასწავლო ხელშეკრულება. • 85.7% ინფორმირებულია, როგორ იქნება კოლეჯის მხრიდან დაცული მათი პერსონალური მონაცემები, 7.1% ნაწილობრივ არის ინფორმირებული ხოლო კვლევაში მონაწილე 7.1% არ არის ინფორმირებული პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე. • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 97.6% ადასტურებს, რომ კოლეჯისათვის მიცემული აქვს თანხმობა, რომ კოლეჯს შეუძლია მათი პერსონალური მონაცემები მიაწოდოს დამსაქმებელს ან სხვა ორგანიზაციას/ფიზიკურ პირს თუ ეს საჭიროა სასწავლო პროცესისა თუ დასაქმების მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო 2.4% არ აქვს მიცემული თანხმობა. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 73.8% იცნობს ვებგვერდზე განთავსებულ კოლეჯის ელექტრონულ კატალოგს, რომელშიც მოცემულია პროფესიული სტუდენტებისთვის საინტერესო ინფორმაცია, 16.7% ნაწილობრივ იცნობს აღნიშნულ კატალოგს და მასში წარმოდგენილ ინფორმაციას, ხოლო 9.5% არ იცნობს. • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 71.4% იცის რას ნიშნავს მოდულური	*სტუდენტთა შევსებული კითხვარები*

სწავლება და იციან, როგორ შეფასდება მათი მიღწევები მოდულის/პროგრამის ფარგლებში და თვლიან, რომ მიღწეული სწავლის შედეგები გამოადგებათ მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში (88.3%). • პროფესიული სტუდენტების 64.3% აქვს ინფორმაცია ინტეგრირებული სწავლების და კომპლექსური დავალებებით შეფასების პირობების შესახებ (76.2%). • 83.3%-ს აზრით, ინფორმაციას შეფასების ვადების შესახებ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს გონივრული ვადების დაცვით, შეფასებამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე. • პროფესიული სტუდენტების 85.7% ინფორმირებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების შესახებ, 9.5%-ნაწილობრივ, ხოლო 4.8% არ არის ინფორმირებული. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 47.6% იცნობს პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესს, თუმცა გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტებს არასდროს გაუსაჩივრებიათ მიღებული შეფასება. • 95.2% დროულად იღებს ინფორმაციას სასწავლო ცხრილების და მათში შეტანილი ცვლილებების შესახებ; • პროფესიული სტუდენტების 69% იცნობს კოლეჯის მიდგომას სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის და მობილობის შესახებ, რომელიც ასევე განთავსებულია ვებ გვერდზე. 26.2% ნაწილობრივ იცნობს აღნიშნულ წესებს ხოლო 4.8% - არ იცნობს. • 81% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 88.1% აზრით კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 78.6% აზრით, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები საგაკვეთილო პროცესზე არ იგვიანებენ. • 97.6% აფიქსირებს რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი აღრიცხავს პროფესიული სტუდენტების დასწრებას; • პროფესიული სტუდენტების 88.1% თვლის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას (იყენებენ მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად), ამომწურავად პასუხობენ შეკითხვებს და სწავლის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან იღებენ ყველა საჭირო დახმარებას/კონსულტაციას. ასევე თვლიან, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს დინამიურად - პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 97.6% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი იცავს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ნორმებს, და ყოველთვის მომზადებულია საგაკვეთილო პროცესისთვის.	

• გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 90.5% მიიჩნევს, რომ სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები/ინტერნეტ-რესურსები/საბიბლიოთეკო სივრცე მათთვის ხელმისაწვდომია და სრულად აკმაყოფილებენ სწავლის საჭიროებებს. • 97.6% მიიჩნევს, რომ სასწავლო გარემო შესაბამისია მოდულში გათვალისწინებული სასწავლო აქტივობებისთვის (აუდიტორია და პრაქტიკული სწავლების სახელოსნო და კომპიუტერული კლასი) • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 50% თქმით, ისინი სასწავლო პროცესში არ საჭიროებენ სამუშაო ფორმას, ხოლო 50% აზრით, ისინი საჭიროებენ სამუშაო ფორმას, რომლითაც უკვე არიან აღჭურვილები. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 90.7% მიიჩნევს, რომ სასწავლო მასალები მიეწოდებათ დროულად, შეფერხების გარეშე. • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 73.8% მიიჩნევს რომ არ საჭიროებენ საგაკვეთილო პროცესის გამარტივებას, 9.5% მიიჩნევს რომ ნაწილობრივ საჭიროებენ, ხოლო 16.7% საჭიროებს საგაკვეთილო პროცესის გამარტივებას; • 95.2% მიიჩნევს, რომ კოლეჯის სასწავლო გარემო უსაფრთხოა ყველა (მათ შორის სსსმ/შშმ) სტუდენტისთვის; • 90.5% თვლის, რომ კოლეჯში ჩარიცხვამდე, გაუწიეს შესაბამისი პროფორიენტაციული კონსულტაცია. • 71.4% ფლობს ინფორმაციას კოლეჯში არსებული სტუდენტური სერვისების (ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ფაბლაბი და ა.შ.) შესახებ თუმცა 59.9% არასდროს უსარგებლია ჩამოთვლილი სერვისებით; • 76.2% კომუნიკაცია აქვს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე; • 83.4% მიიჩნევს, რომ მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტი შესაბამისი პასუხისმგებელი პირისგან მიუღიათ გონივრულ ვადებში (10 დღე); • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 83.3% მიიჩნევს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას; • 38.1% მონაწილეობა აქვს მიღებული სტუდენტურ აქტივობებში, 9.5% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ჩართული იყო კოლეჯის მიერ განხორციელებულ სხავდასხვა სახის აქტივობებში ხოლო 52.4% აფიქსირებს რომ მონაწილეობა არ აქვთ მიღებული სტუდენტურ აქტივობებში; • 71.4% ღებულობს ინფორმაციას კოლეჯში დასაქმების შესაძლებლობებთან/ ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; • გამოკითხული პროფესიული სტუტენტების 83.3% მიიჩნევს, რომ კოლეჯი აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე.	

- გამოკითხული პროფესიული სტუტენტების 92.9% გასცემდა მოდუსში სწავლის რეკომენდაციას.

პროფესიულმა სტუდენტებმა გამოთქვეს სხვადასხვა მოსაზრება კოლეჯის სტუდენტური სერვისების მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე:

- კოლეჯის ტერიტორიაზე კაფეტერიის ან/და ყავის სივრცის არსებობა, სადაც პროფესიული სტუდენტები შეძლებდნენ შესვენების პერიოდის გამოყენებას;
- პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი Wi-Fi არსებობა;
- კოლეჯის შენობის დერეფნებში მოსაცდელი სკამების განთავსება;
- კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნებით გამდიდრება;
- სპორტული აქტივობების გამრავალფეროვნება;

პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდირებულია:

- **სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდის აუცილებლობა (აპელაციის წესის უფლებით სარგებლობის შესახებ მჭირი ინფორმაცია აქვთ),**
- **კოლეჯში მიმდინარე პროცესებში სტუდენტთა უფრო მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია სტუდენტებთან უფრო ხშირი კომუნიკაციით და შეხვედრების ორგანიზებით;**
- **სტუდენტური სერვისების გაქტიურება - სტუდენტური კავშირის ქმედითუნარიანობის ამაღლება;**

4. პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის განხორციელების შეფასება

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯის ,,მოდუსის“ მხოლოდ იმ სტუდენტებმა, რომლებმაც დაასრულეს სწავლა პროფესიულ პროგრამაზე, სრულად გაიარეს პროგრამის შემადგენელი სასწავლო მოდულები, თუმცა კითხვარის შევსების მომენტში არ ჰქონდათ მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია. გამოკითხვა მიზნად ისახავდა პროგრამის განხორციელების პერიოდში პრობლემების იდენტიფიცირებას და პროგრამის ჰოლისტურად შეფასებას.•გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო შემდეგი პროფესიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულმა სტუდენტებმა: ბუღალტრული აღრიცხვა; მებაღეობა; კულინარიის ხელოვნება; სამკერვალო წარმოება; მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება; ელექტროობა; აღმზრდელი.

შედეგების ანალიზი:

- გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 61.5%-ის მოლოდინს, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, პროფესიული ცოდნის მიღება წარმოადგენდა, 30.9% აზრით, მათ მთავარ მოლოდინს

პრაქტიკული პროფესიული უნარების/პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილების მიღება წარმოადგენდა. 7.6% გაიგებდა ინფორმაციას სამომავლო პროფესიის დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, გახდებოდა საქმის პროფესიონალი, • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 76.9% თვლის, რომ პროფესიულმა საგანმანათებლო პროგრამამ გაამართლა მათი მოლოდინი პროგრამის მიმართ, 19.2% ნაწილობრივ გაამრთლა, ხოლო 3.8% (ორი გამოკითხული პროფესიული სტუდენტი) მიიჩნევს, რომ პროგრამამ არ გაამართლა მათი მოლოდინები. • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 90.4% თვლის, რომ არჩევანის შემთხვევაში, აირჩევდა იგივე პროფესიას, 9.6% აზრით კი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თავიდან ჩარიცხვის შემთხვევაში, აირჩევდა სხვა მიმართულებას; • 98.1% თავიდან ჩაბარების შემთხვევაში, აირჩევდა ისევ ამავე კოლეჯს, 1.9% შეცვლიდა საკუთარ არჩევანს; • პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში, პროგრამის სწავლების ხარისხს დადებითად აფასებს გამოკითხული პროფესიული სტუდენტების - 86.5%, ხოლო დამაკმაყოფილებლად - 13.5%; • კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას 92.3% ობიექტურად/სამართლიანად აფასებს, ხოლო 7.7% უჭირს პასუხის გაცემა; • კითხვაზე „როგორ შეაფასებდით სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას (სასწავლო მასალები, სახელმძღანელოები, ლაბორატორია და სხვ.)“ - პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა - ძალიან კარგი (61.5%), კარგი (25%), დამაკმაყოფილებელი (13.5%); • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 100% მიიჩნევს, რომ კოლეჯში დაცული იყო მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები; • გამოკითხვაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 100% თვლის, რომ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კოლეჯისაგან ღებულობდა სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას; • 96.2% მიიჩნევს, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია მათ გონივრულ ვადაში უწევდა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, 3.8% თვლის რომ დარღვეული იყო გონივრული ვადები; • გამოკითხული პროფესიული სტუდენტების 92.3% მიიჩნევს, რომ კოლეჯში უზრუნველყოფილი იყო კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული,ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა; • პროფესიული სტუდენტების 94.2% მიიჩნევს, რომ კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სოციალური ქსელების საგანგებოდ შექმნილი ჯგუფებიდან ღებულობდა ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან	

დაკავშირებით, 5.8% არ მიუღია აღნიშნული მიმართულებით ინფორმაცია. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლებმაც სრულად გაიარეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიუთითებს კოლეჯ "მოდუსის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მაღალ ხარისხზე და სტუდენტების ფართო კმაყოფილებაზე. გამოკითხულთა 76.9%-მა დაადასტურა, რომ პროგრამამ სრულად გაამართლა მათი მოლოდინები. კოლეჯის საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტი - პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი (86.5% დადებითი შეფასება), შეფასების სისტემის ობიექტურობა (92.3%), სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა (86.5% კარგი/ძალიან კარგი) და ადმინისტრაციული მხარდაჭერა (96.2%) - შეფასდა მაღალი პროცენტული მაჩვენებლით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 100% მიიჩნევს, რომ მათი უფლებები დაცული იყო და ღებულობდნენ კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ ხარისხს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სტუდენტების 98.1% თავიდან ჩაბარების შემთხვევაში კვლავ ამავე კოლეჯს აირჩევდა.	
5. მეცადინეობაზე/შეფასების პროცესზე დასწრების ანალიზი	
2025 წელს, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ, მონიტორინგი განხორციელდა 53 საგაკვეთილო პროცესზე (რუსთავსა და მარნეულში). საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგისას, შემუშავდა მონიტორინგის ოქმები, რომელთა შინაარსსაც გაეცნო თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებელი და სურვილის შესაბამისად, დაურთო საკუთარი კომენტარიც. მონიტორინგის მიგნებები/რეკომენდაციები წარედგინა დირექტორს. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფი კოლეჯში მიმდინარე სასწავლო - საგაკვეთლო პროცესს ძირითადად დადებითად აფასებს. პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავდნენ სასწავლო გეგმების/კალენდარული გეგმების შესაბამისად და იყენებდნენ მოდულის სტანდარტული ჩანაწერების შესაბამის სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა ინტერაქციულ რეჟიმში თუმცა, ამავდროულად მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი გასაუმჯობესებელი ტენდენციები, რაც აღნიშნულია საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმებში: • დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროფესიული განათლების მასწავლებლები საკონტაქტო საათის ფარგლებში იწყებდნენ იმ აქტივობების დაგეგმვას, რომლებიც წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ამის გამო საგაკვეთილო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯებოდა საორგანიზაციო საკითხებზე, რაც ამცირებდა რეალურ სასწავლო პროცესზე გამოყოფილი დროის ეფექტიანობას.	*საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმები*

• გამოიკვეთა პრაქტიკული აქტივობების ჯგუფში ყველა პროფესიული სტუდენტის არათანაბარი ჩართულობა. პრაქტიკული დავალებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ჩართულობა თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი და არც ერთ პროფესიულ სტუდენტს არ მიენიჭოს პასიური როლი, ხოლო სხვებზე არ გადანაწილდეს ზედმეტი დატვირთვა. • ზოგიერთ შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელს, განმსაზღვრელი შეფასების მეთოდად, გამოყენებული ჰქონდა კითხვა-პასუხისა და ზეპირი განმარტების მეთოდები, რაც ეფექტურია ცოდნის განმტკიცებისა და უკვე არსებული მასალის გააზრებისთვის. თუმცა, განმსაზღვრელი შეფასების ფორმად მხოლოდ ჯგუფური კითხვა-პასუხის გამოყენება არ წარმოადგენს სწორ მიდგომას, რადგან ამ ფორმატში პასუხებს ძირითადად ის პროფესიული სტუდენტები გასცემენ, ვინც უფრო აქტიურია ან უკეთ ფლობს თემას. შედეგად, ვერ მოხდება თითოეული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური ცოდნისა და მოდულით განსაზღვრული სწავლების შედეგების მიღწევის დონის დადასტურება. • ზოგიერთ შემთხვევებში პროფესიული განათლების მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესზე არ ცხადდებოდნენ ცხრილით განსაზღვრულ დროს, აგვიანებდნენ საგაკვეთილო პროცესზე ან/და ასრულებდნენ საგაკვეთილო პროცესს ცხრილით განსაზღვრულ ვადებზე ადრე, რაც მათი განმარტებით ზოგ შემთხვევაში გამოწვეული იყო მოდულის საათების სიჭარბით, ზოგ შემთხვებში ტექნიკური გაუგებრობებით, თუმცა ყველა მათგანმა დაადასტურა რომ საგაკვეთილო პროცესზე დააგვიანა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, საგაკვეთილო პროცესი დაიწყონ და დაასრულონ ცხრილით განსაზღვრულ დროს. • სსიპ კოლეჯ „მოდუსი“ მარნეულში განხორციელებული საგაკვეთილო პროცესების მონიტორინგის შედეგად, რიგ შემთხვევებში დაფიქსირდა პროფესიული სტუდენტების მხრიდან ქართული ენის ფლობის დაბალი დონე. • განსაკუთრებით საყურადღებოა, "სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციისა" და მეხილეობა (ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით) პროგრამების პროფესიული სტუდენტების დასწრების მაჩვენებელი. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტების არ გამოცხადების გამო, მონიტორინგი ვერ განხორციელდა ხუთ საგაკვეთილო პროცესზე. • ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია მასწავლებლებისთვის, რომ სსსმ სტუდენტებისთვის განკუთვნილ დავალებებს თან ახლდეს ვიზუალური მინიშნებები, რადგან მათ უძნელდებათ თუნდაც მცირე ტექსტური მასალის აღქმა, თვალსაჩინო დასაყრდენი კი ხელს შეუწყობს მათი მხრიდან შესასრულებელი დავალებების /	

ამოცანების პირობის გაგებასა და შესაბამისად, შესრულებას; • პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სტუდენტის დაწრების არ აღრიცხვა (ხშირად მასწავლებლები არ აღრიცხავენ „არებს“ ბოლო გაკვეთილამდე); <u>**რეკომენდაციები:**</u> • პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეხვედრების ჩატარება დისციპლინის საკითხებზე - დაგვიანება, გაცდენა, თვითნებურად საგაკვეთილო საათების შემცირება, სხვადასხვა ტიპის შეთანხმება ადმინისტრაციის ჩართულობის გარეშე და ა.შ. • პროფესიული განათლების მასწავლებელებთან შეხვედრა შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაციიის შემუშავების თაობაზე, კერძოდ, კალენდარული გეგმების, ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. • საგაკვეთილო პროცესში პროფესიული სტუდენტების სრული ჯგუფის, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების, ჩართულობის მიზნით, საჭიროა სწავლების მეთოდების დახვეწა და მასწავლებლების გადამზადება ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგიაში, ასევე, გაკვეთილის სტრუქტურის/გეგმის საკითხებთან დაკავშირებით.	
6. შეფასების კითხვარების ანალიზი - ვალიდაციის/შიდა ვერიფიკაციის კითხვარი	
შეფასების ინსტრუმენტების ფორმები ადეკვატურია, მათში გაწერილია შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება, რომლებიც შეესაბამება მოდულში მითითებულ მტკიცებულებებს, ყველა მიმდინარე შეფასება ჩატარდა კოლეჯში პირისპირი მეთოდით, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას ადასტურებს შემფასებელი/ვალიდატორი, თუმცა შეფასების მტკიცებულებების შესაბამისობის დადგენა საჭიროებს მტკიცებულებების ვერიფიკაციას. მიმდინარე წელს, ხარისხის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, წარმატებით განხორციელდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია: **„ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა“, „თმის მომსახურება“ და „აღმზრდელი“.** ვერიფიკაციის პროცესმა უზრუნველყო შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობისა და სანდოობის შემოწმება, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. პროცესის დასრულების შემდეგ, ვერიფიკაციის შედეგები, მიგნებები და კონკრეტული რეკომენდაციები წარედგინა დირექტორს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რაც ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.	*შიდა ვერიფიკაციის/ვალიდაციის ფორმები, ვერიფიკაციის დასკვნები*

7. პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების ანალიზი	
• კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, სადაც განხილული იქნა კალენდარული გეგმების შევსების, მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიკისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, შუალედური და დასკვნითი შეფასების ორგანიზებასა და ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები, ასევე მოკლევადიანი პროგრამების შემუშავების მექანიზმები და პროფესიული სტუდენტების მიერ დადასტურებული შეფასების მიხედვით შექმნილი მტკიცებულებების ელექტრონულად დაარქივების საკითხები, როგორც რუსთავის ისე მარნეულის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. • ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომოობის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების თაობაზე შედგა არაერთი შეხვედრა მულტიდისციპლინურ გუნდათან და სტუდენტის მშობლებთან და /ან მათ წარმომადგენლებთან. • სანგარიშო პერიოდში განხორციელდა სასწავლო პროცესებზე დასწრება დასწრების/მონიტორინგის გეგმის მიხედვით, როგორც რუსთავში ისე მარნეულში. • ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, **ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმის ჩანაწერების შესაბამისად**, განახლდა რეგულაციები, კერძოდ „სსიპ კოლეჯი მოდუსის ხარისხის მართვის მექანიზმები“ რომელშიც გაწერილია ხარისხის კონრტოლის პროცედურები კერძოდ, სწავლების ხარისხის შემოწმების ძირითადი და დამხმარე პროცესები, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება /მონიტორინგის პროცესი და სწავლების ხარისხით კმაყოფილების შეფასების პროცესი პასუხისმგებლი პირებით და თანდართული შემოწმების ფორმებით,	*პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების დამადასტურებელი მასალა*
8. რეკომენდაციები პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით	
<u>რეკომენდირებულია:</u> • დაიგეგმოს და ჩატარდეს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შეხვედრა დისციპლინის საკითხებზე, დაგვიანება, გაცდენა, თვითნებურად საგაკვეთილო საათების შემცირება, სხვადასხვა ტიპის შეთანხმება ადმინისტრაციის ჩართულობის გარეშე და ა.შ. • დაიგეგმოს და ჩატარდეს მასწავლებელებთან შეხვედრა ხარისხის შეფასებისთვის საჭირო	

დოკუმენტაციიის თაობაზე, კერძოდ, კალენდარული გეგმების, ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების მნიშვნელობაზე სა საჭიროებაზე. • დაიგეგმოს და ჩატარდეს შეხვედრები კოლეჯის საქმიანობისა და წლიური გეგმების გაცნობის მიზნით, როგორც მასწავლებლებთან ისე სტუდენტებთან; • სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, საჭიროა პროფესიული განათლების მასწავლებლების, განსაკუთრებით, ახალი მასწავლებლების დამატებითი ტრენინგი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით; • პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება სწავლების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით მრავალფროვანი ინტერაქტიული მეთოდების და ციფრული კომპეტენციების გამოყენების მიმართულებით; • ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრა ვერიფიკაციის პროცესის მნიშვნელობაზე და ასევე დაიგეგმოს შეხვედრები ახალ პედაგოგებთან მათი ინფორმირებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით. • სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და/ან მათ წარმომადგენლებთან; • სტუდენტური აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება, პროფესიული სტუდენტური კავშირის საქმიანობის გააქტიურება.	

ანგარიშის შევსების თარიღი: ***<u>22.12.2025</u>***